რედაქცია

მოლნინის (აბას-აბატის) მაედანზე, ულრლანოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში— 4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან.
ცალკე ნომერი—ერთი შაური.

დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციფროთი, სტრიქ. — 5 კაპ., პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ 1875 წელს გაზეთი

„დროება“

კვირაში სამჯერ გამოდის

კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით

გაზეთის ფასი

ერთის წლისა—8 მან., ნახევარის წლისა —4 მან. და 50 კაპ.

ხელის მოწერა

მიიღება რედაქციაში: მოლნინის (აბას-აბატის) მაედანზე, ულრლანოვის სახლებში და აგრეთვე მელიქიშვილის სტამბაში. გარეშე მცხოვრების ადრესი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“*

საქართველო

რისთვის გვიწყრებიან?

—

ჭორი მთიდგან დაგორებულს თოელის გუნდსა ჰგავს: ჯერ ეს გუნდი მუშტის ოდენაა; მაგრამ რაც ქვეით მოდის, თან და თან თოელი გარს ეკერება, იზრდება და მთის ძირში ზვინის ოდენა ხდება ასე, რომ აქ თქვენგან მთის წვერზე დაგორებულს გუნდს ვეღარ ცნობულობთ.

ჭორის ბედიც აგრეთია: ერთი პირისაგან გამოსული პატარა რამ ამბავი თან-და-თან იზრდება, მატულობს, ყველა თითო რამ მოგონებულს მხარეს უმატებს და ბოლოს ისეთ ნაირად გაზვიადდება, რომ პირველი მოამბე თავის ნათქვამ ამბავს ვეღარ ცნობულობს...

ესე მოუვიდა „დროებასაც“.

მეშვიდე ნომერში დაბეჭდილი იყო სტატია, რომელშიაც ქალაქის გამგეობას და მანეთიანი გადასახადის მეიჯარადრეს ვკიცხავდით. თუმც აყველასთვის ცხადი იყო, (განსაკუთრებით მეცხრე №-ის სტატიის შემდეგ), რომ ჩვენ მთელს სომხის ხალხს არ ვეხებოდით, რადგან ქალაქის სომხები, გამგეობა და ვიღაც მეიჯარადრე, უეჭველია, ნაციას ვერ შეადგენენ; მაგრამ, როგორც ჭორს შეჰფერის, ამ სტატიების აზრი გაზარდეს, გადაასხვაფერეს და ქალაქში გავარდა ხმა, რომ „დროება“ მთელს სომხობას ლანძღავსო, უკმაყოფილება უნდა ჩამოაგდოს ჩვენ შორისო და სხვა ამ გვარები და ამაზე უარესებიც.

ეს გარემოება გვაიძულებს უფრო კატეგორიულად გამოვეთქვათ ჩვენი აზრი ამ საგანზე.

ველასთვის, ვისაც ყურთა-სმენა აქვს გასაგონებელად და ტვინი გასაგებად, ვაცხადებთ:

ჩვენ არცერთი ხალხის მტერი არა ვართ და მით უმეტეს სომხებისა, რადგან კარგათ გვესმის, რომ ხალხი ყოველთვის უბრალოა იმ ხშირად საძაგელ საქმეებში, რომელსაც ზოგიერთი იმის წარმომადგენელნი ჩადიან;

ჰარგათ ვიცით, რომ ჩვენ, პეტერბურგში, ყველას საზოგადო სასიხარული ან სადარდებელი ბედი გვაქვს;

გვესმის, რომ ჩვენ ერთად მცხოვრებთა ერთი ჭაპანი უნდა ვწიოთ.

მაგრამ ჩვენ ვართ მტერი ყველასი:

ვინც თავის კუჭის გაძღებისა და ჯიბის გასქელებისათვის არაფერს არ ზოგავს;

ვინც შემთხვევას დაეძებს, რომ გაჭირების დროს ღარიბ-ღატაკს წელიწადში თუმანზე თუმანი სარგებელი გადაახდევინოს ან ამაზე მომეტებული;

ვინც უკანასკნელ მიწა-წყალს, საქონელს, ოჯახის ავეჯულობას უყიდის ვალში გლეხსა;

ვინც კერძო, პიროვნული სარგებლობისათვის ხალხს ავიწროებს,

ერთი სიტყვით—ვართ მტერი ყველასი, ვინც ხალხს სჩაგრავს, ვინც ადამიანის კაცურ ღირსებას ამცირებს.

ჩვენ გვეგონა და გვგონია კიდეცა, რომ ყველა ამაებში სომხური გაზეთები და ყველა ნამდვილი სომხები თანაგვიგრძნობენ, რომ იმათაც ის სძულთ, რაც ჩვენ გეძულს და ის უყვართ, რაც ჩვენ გვიყვარს.

მაშასადამე სომხური გაზეთები რად გვებაასებიან? რად შემოგვწყრენ სომხები?

სომხური გაზეთებისა და ნამდვილი სომხებისაგან დახმარებას და თანაგრძნობას მოველით, როდესაც ჩვენ ხალხის დამჩაგრელებს ვკიცხავთ...

ეს სადაური ტაქტიკაა, რომ ისინი ამისთანა დროს ჩვენ გვეწინააღმდეგებიან? იმათი ამ გვარი გამოსარჩლება ხომ ხალხის მყველეფელების გამოსარჩლებასა ჰგავს?!

ს. მესხი.

თფილისის თავად-აზნაურობის ბანკი

—

ბუშინ, 28 იანვარს, დილის 10 საათზე იყო პირველი სხდომა თფილისის გუბირნიის თავად-აზნაურობის არა-ჩვეულებრივის კრებისა. თავად-აზნაურობის წინამძღომლის, თ. რევაზ ანდრონიკაშვილის წინადადებით მთელმა კრებამ ერთხმად განაცხადა მადლობის შეწირვა უფ. დ. ი. ყიფიანისა, რომელმანც ამდენი იღვაწა ჩვენი ბანკისთვისაო.

პირველი საგანი, რომელზედაც კრებაში შეიქნა მოლაპარაკება იყო შემდეგი კითხვები:

1) აქვთ მამის სიცოცხლეში შვილებს ხმა ბანკის საქმეებში, თუ არა?

2) ერთი ხმის მქონებელის მემკვიდრეთ ერთი ხმა უნდა ჰქონდესთ თუ იმდენი რამდენიც მემკვიდრენი არიან?

ამ კითხვებზე შეიქნა ხანგრძლივი ბაასი, რომელშიაც, სხვათა შორის, უფ. ი. ჭავჭავძემ, ნ. ამატუნიმ, დ. აბხაზიმ, აკალიშვილმა და სხვებმა მიიღეს მონაწილეობა.

ბოლოს თავის-მჯდომარისა და ზოგიერთი პირების წინადადებით, კამისია აირჩიეს თითო უეზდიდამ ორ-ორი პირი, რომელთაც ზემოხსენებული კითხვები უნდა განსაჯონ, ქალალდზე შეადგინონ და შემდეგ საზოგადო კრებას წარუდგინონ.

ამაზე უფრო დაწვრილებით გუშინდელ კრების მსჯელობაზე ჩვენ დღეს არას ვამბობთ.

ჩვენი ყურადღება ამ კრებაში მეორე გარემოებამ მიიქცია:

კრებაში 150 კაცი იქნებოდა ბანკის მონაწილენი და ამათში, სულ ცოტა რომ ესთქვათ, ნახევარს მაინც არ ესმოდა რუსული ლაპარაკი.

რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ისეთი პირის კენჭს, რომელსაც არ ესმის—რის სასარგებლოდ ან რის წინააღმდეგ უნდა ჩააგდოს კენჭი? ეს გაცხარებულ მსჯელობა, რუსულს ენაზე, ნახევრისთვის სრულებით უნაყოფოთ და გაუგებარა რჩება.

ჩვენის აზრით, ურიგო არ იქნება, რომ რადგანაც ქართულად ბაასი და

ფელტონი

იმერლები

რომანი

პირველი თავი

I

არჩევანი

—

შემოდგომის მიწურულზედ, როდესაც ცეცხლი გემრიელდება, გამხიარულებულს ბუხარს მიჯდომოდა სამოცის წლის მოხუცი ქუჯნია და ნებიერად გულ-ბოყვით ეფიცხებოდა.

მისი გამოშტერებული თვალები ამტკიცებდნენ, რომ, ოცნებებისაგან გატაცებული, ის იმ დროს სადღაც შორს გარბოდა, მაგრამ მისი წარმოდგენილი სარბიელი კი რომელს დროს ეკუთვნოდა: წასრულს ბედნიერს? შეშინებულს აწმყოს? თუ უსახო-მომავალსა? — ეს ვინ იცოდა?

მაიძვერაობაში დასილაქნებულს სახეზედ დიდხანს არ ეტყობოდა არა ვითარი სულის კვეთება, მაგრამ, როდესაც სითბომ თან და თან შეუხვინა მისს ტვინის ძაფებს, მაშინ კი ულალატა მოხუცს ჩვეულებრივმა გულ-კაჟობამ და ერთი მისთანა ამოიოხრა, რომ, თითქოს, მითი უნდოდა ცოდვის ტვირთის ზურგიდამ მოშორება და რაიმე საიდუმლო უფსკრულისაკენ გატყორცნა. წარბები შეიჭმუხნა, სახეზედ ჭმუნვის ღრუბელი გადაეკრა და უსიამო ღიმილმა ეშმაკების სადგურის სარკმელს დაუმსგავსა სახე.

— სთქვა უგუნურმან გულსა შინა თავისა: არა არს ღმერთი! წამოიძახა უეცრად. დიდ ხარ შენ უფალო და საკვირველ არიან საქმენი შენნი!! ჯოელის შემძლებელო! შენის მიუწდომელის საკვირველებით მხოლოდ შენ ძალ-გიძს სხვა და სხვა გვარ საგნების გასაერთნიერთებლათ შეზავება, და შენვე განხრწნი ერთს ნივთს მრავალ-გვარად!

აი, ცეცხლი... ყრმა და მოხუცი, მთავარი და მონა, მდიდარი და გლახაკი, ბრძენი და რეგვენი ერთნაირად სარგებლობენ მითი და სიყრმითგანვე მიჩვეულები, აღარ ჰხდიან საკვირველებად, მაშინ როდესაც მიუწვდომელია მისი ძლიერ-მოქმედება!! ხეს ეკიდება!.. რა?—ცეცხლი! და რა არის ცეცხლი? — საკვირველ-მოქმედება! რა გვარი?—აი, რა გვარი: ალი აღეტყინება, ეითარცა საკვერთხი, ცად მიმართ, სითბო გამოხეთქს ცხოველთ შეებად და ჰაერის განსაწმენდელად, კომლი ღრუბელს ემატება, ნაკვერცხალი ძირს ეყრება და დასასრულ კი გვრჩება ხელში მარტოდენღა ნახშირ-ნაცარი!.. ჰმ... დიდ ხარ შენ უფალო და საკვირველ არიან საქმენი შენნი! ისინი კი ამას ქიმიის ძალას ეძახიან!!—ჰმ.., ხა! ხა! ხა! ქიმიაო! ჰმ... ქიმიაო?!..

სიტყვა „ისინი“ ისეთის მწარის კილოთი და ხმის კანკალით გამოსთქვა, რომ თითქოს, ამ ნაცვალ-სახელში რამდენიც ასოა, იმდენი ისარი გაემსჭვალა გულში და ხუთადაც გაუპო გულ-გვამიო.

ბოლოს დაჰდუმდა, მაგრამ სახე კი სრულიად დაშლილი დაურჩა და შეშლილიეით, თავისთვის, რაღაცას ბუტბუტებდა; ხან და ხან კი ხმამაღლათაც წამოიძახებდა ხოლმე: ლეკვები!.. — შსჯულოები!.. ძაღლები! შსუსურები! და სხვ...

ვინ იცის, რამოდენს ხანს იქნებოდა მოხუცი ამგვარად აღელვებული, რომ ერთს მოულოდნელს შემთხვევას არ გამოეფხიზლებინა.

მსჯელობა არ შეიძლება ამ ქართველი თავად-აზნაურობის კრების სხდომებზე, ის კითხვები მაინც გადაითარგმნოს, რომელზედაც კენჭის ყრა იქნება.

„დროების“ კორრესპონდენცია

თელავი 25 იანვარს.

„დროების“ მკითხველებს ეხსომებათ იმ ხუთი ათასი თუმნის პატრონი, რომელსაც თელავის თავად-აზნაურობითვის უნდოდა ხელი გაემართა, ერთი ქველის საქმის მიზნათვის. (შარშანდელი „დროების“ მე-453 №).

რადგანაც ეს პირველი განზრახვა და მიზანი არ აღუსრულდა ამ ფულის პატრონს, თავის სურვილისამებრ, ამისათვის იმან მოიპოვა სხვა სახსარი და ღონის-ძიება, რომელსაც პირველისავე ხასიათი აქვს და თითქმის უფრო საზარელიც არის მთელი ქახეთის მცხოვრებთათვის.

ამის წინამძღოლნიც, როგორც პირველში, აგრეთვე ეხლაც, ისევე ჩვენი ზოგიერთი მებატონენი ბრძანდებიან, რომელთაც აუფარებიათ ბერიკა პირზედ და მიუხტიან წინ ხალხის წასაცდელათ და გასაყვლეფათ.

რადგანაც ამ ფულის პატრონის პირდაპირი აღებ-მიცემობა უფრო ეჭვში შეიყვანდა ხალხსა და ვერც ასე ადვილათ ენდობოდნენ, ამისათვის იმან შეიმხანაგა თუ იქირავა რამდენიმე შთამომავლობით კეთილშობილ პირებთაგანი და ამ მანქანებით დაიწყეს თავიანთი აპერაცია:

ქახეთის მცხოვრებლებს, ნამეტნავათ თელავის მაზრაში, ვისაც უჭირთ აძლევენ ფულს მხოლოდ თხლე და ჭაჭაზედ, ვიდრე ვენახები დაიკრიფება. ამისათვის, იმათა აქვსთ ადრევე შემზადებული დაბეჭდილი პირობის წერილები, რომელიც შეიცავს შემდეგს:

„მე ამა და ამ სოფელში მცხოვრებელმა გლეხმა №№ მოგყიდე თქვენ თავად № № ჩემი ვენახის თხლე და ჭაჭა, წყვილი ქვაბი ექვს მანეთათ (ან ცოტა მეტ-ნაკლებათ). ამ თავით მივიღე ფული 00 (რამდენსაც მისცემს), რომელზედაც ვალდებული ვარ არც დავშამნო ჭაჭა და ღვინოც თქვენ თანა-დაუსწრობელად ანუ თქვენ რწმუნებულ კაცსა არ გადავიღო და არც ერთხლის მეტათ მოვსწურო ღვინო თხლეზედ. ამასთანავე არა მაქვს ნება სხვა პირზედ გაყიდვისა, თუნდ ერთი ორათ აიწიოს მაზანდამ. თუ ვინიცობა არის, თქვენი დასაკმაყოფილებელი თხლე და ჭაჭა არ მოვიდა, ან პირობას გადაველ, ამ წინააღმდეგ შემთხვევაში მოგცეთ ჩემმა მოძრავმა და უძრავმა კმაყოფილება, სარგებლით და სხვ.“

ვერ წარმოიდგენთ, რამდენსა სცდებიან გლეხები ღვინის გადაღებისთვის იმათ უკან დეენაშია; და ზოგმა, რომელმაც თავის დროზედ ვერ გადაიღო პირობის ძალით ღვინო, გადაუბრუნდა და გაუფუჭდა.

ამ პირობის წერილში ბევრი სხვა დაფარული აზრი ტრიალებს, რომლის განმარტებაც გლეხ-კაცს არ შეუძლიან და ვერც მიხვდება ამ გვარათ შემოჩენილი კაცების მიზანს. ამასთანავე ვერც იმას წარმოიდგენენ, თუ თავიანთ მეზობელი აგრე უღვთოთ უღალატებს.

მოვიყვან ერთს მაგალითს, საიდამაც კიდევ უკეთ შეგიძლიანთ დააფასოთ ამათი კაი კაცობა:

ზოგიერთ გლეხებმა თავიანთ საჭიროებისათვის თითონ დაიწყეს თხლეჭაჭის გამოხდა,—რა არის, ერთი მანეთი მაინც დარჩეთ მოგება, გარდა პატენტისა და ხარჯისა. ამათ ეს რომ შეიტყეს, განგებ ზარალობენ და დააიაფეს თავიანთი არაყი და სპირტიც იმ განზრახვით, რომ გლეხ-კაცობას დაუფოლონ და აზარალონ, რომ შემდეგისათვის სხვა აღარავინ ეცადოს გამოხდას; მაშინ, რასაკვირველია, თხლეს და ჭაჭას უფრო იაფათ იყიდიან და რაკი ეგენი დაინარჩუმებენ ბურთსაც და მეიდანსაც, მაშინ როგორ ფასათაც უნდათ, ისე გაჰყიდიან და რაც ერთს ან ორ წელიწადში უზარალნიათ, შეუძლიანთ სულ ერთს დაკერაზედ აიღონ. ისეც მოიყვანეს საქმე, როგორც თითონ უნდოდათ და საწყალს გლეხ-კაცობას დარჩა გასასყიდი, პატენტის და შეშის ფასსაც ძლივს გამოელენ და იძულებულ არიან აიღონ ხელი შემდეგ გამოხდისაგან.

ამ წინამორბედებს თუ გული შესტკივათ თავიანთის მეზობლებისათვის და ძმებისთვის, განა არ შეუძლიანთ დაეხმარონენ ხალხსა და თავიანთი შრომაც აიღონ? განა არ შეუძლიანთ უწინამძღვრონ ხალხს და თავიანთი საზოგადო კაეშირი იქონიონ მტკიცეთ?

შეველთვის; მაგრამ ახლა ასე გახლავსთ: თავად აზნაურობას არავითარი დამოკიდებულება, არავითარი აღებ-მიცემობის ამხანაგობა არა აქვსთ გლეხებთან, გარდა ძველებურათ ბრძანებლობის მეტი, და თუ ეს აზრი არ გამოიბერტყეს თავიდამ, არაოდეს არ იქნება კარგი არც გლეხებისთვის, არც მებატონეებისთვის.

გ. ბრემელი.

რუსეთი

ა ს. პეტერბურგის „უწყებების“ მე-15 №-ში ერთი ხმა იყო მოყვანილი, რომელიც, თუ გამართლდა, დიდს ცვლილებას მოახდენს რუსეთის სასამართლოებში: მკითხველმა იცის, რომ უკანასკნელი (20 ნოემბრ. 1864 წ.) სასამართლო რეფორმის ძალით, სხვა ქვეყნების მიბაძვით, რუსეთშიაც თითქმის ყველა გვარ სისხლის საქმეების გადასაწყვეტათ ნაფიცი მსაჯულები, რომელთაც ყველა წოდებისაგან არჩევენ და დროებით ნიშნავენ. ზემოხსენებულ გაზეთს გაუგონია, იუსტიციის სამინისტროს განზრახვა აქვსო, რომ ამ ნაფიცი მსაჯულების მაგიერად ყველა წოდებისაგან რამდენიმე სამუდამო მსაჯული უნდა დაინიშნოსო.

ა პენზენის გუბარნიის ერობაში ჩამოვარდნილა სჯა იმაზე, თუ რამდენათ სასარგებლო და შესაძლებელი იქნება, რომ მემამულეები ვალდებულად გახადონ, რომ თავიანთი საყანე მინდვრები სეტყვისაგან საზღვეველს საზოგადოებაში შეიტანონ. ერთს წევრს უთქვამს ამ საგნის თაობაზე, რომ სოფლის ხალხს ყველაფერისაგან შეუძლია დაიცვას თავის ნამუშავარი, მაგრამ სეტყვისაგან კი ვერა იხსნისო. „ჩვენ-კი გუბერნიის მცხოვრებლებს არაფერი არ ვენებს ისე, როგორც სეტყვაო, რადგან საშუალი სიტყვით სეტყვა ყოველ წელიწადს 25,000 ქცევა ნამუშავარს აფუჭებსო. ამის გამო ძალიან კარგი იქნებაო, რომ მთელი გუბერნიის უეზდებმა პირობა შეჰკრანო, რომ თუ ვინიცობაა ერთს უეზდში გააფუჭა სეტყვამ მინდვრები, დანარჩენ უეზდებმა უზღონო, რადგან სამაგიერო გადახდას უნდა მოელოდნენო.

გუბერნიის ერობას უეზდების ერობებისთვის უკითხავს აზრი ამის თაობაზე და ჯერ ეს კეთილი და დიად სასარგებლო განზრახვა არ შეუსრულებიათ.

ა იანვრის 17 ს. პეტერბურგის ქალაქის გამგეობის მოთავეს წაუკითხავს უფ. ობერ-პოლიციმეისტრისაგან მიღებული ქაღალდი, რომელშიაც ეწერა, რომ რადგან ამ ჟამად ამისთანა ყინვა-სიცივეა და ღამე მოსიარულე ხალხისათვის სასტუმროები საჭირო არისო, ამის გამო ნება მიეცეთო, რომ გაღებული იყვნენო, მაგრამ იმ პირობით, რომ ჩაის გარდა, სხვა სასმელების გაყიდვა არ შეეძლოთო. ამასთანავე გამგეობას უფლებას აძლევს, რომ ღამ-ღამობით პეტერბურგის მაედნებზე ღამის იზვოსჩიკებისათვის დიდი ცეცხლი გააჩაღონ.

ა დონის ნაპირზე მდებარე რამდენსამე სოფელს განჩინება შეუდგენიათ, რომ ამ წლის იანვრიდამ არაეის არ მიეცეთ ნებაო, რომ ჩვენს სოფელში სამიკიტნოები გახსნანო; ყველას აქვს უფლება ყავე ხანები გახსნან, მაგრამ ამ ყავახანებში ჩაის მეტი სასმელი არ უნდა იყოსო.

ა ქალაქს ნიკოლაევში ზოგიერთ პირებს შეუდგენიათ საზოგადოება, რომელმანც საიდამაც არის უნდა მოკრიბოს ფულები და დაეხმაროს იმ ახალგაზდებს, რომელთაც უმაღლესი განათლების მიღება ჰსურთ, მაგრამ შეძლება არა აქვთ.

II

ერთი შუა ხნის კაცი ფეხებ-აკრეფით შემოიპარა და შეუნიშნავად, მორიდებით დაუდგა ქუჩნიას უკან. ხელ-ჯოხიანობაში ჩასუქებულ-ბატონ-კაცს, რომ ვსთქვათ, არ ჰქონდა ბუნებითად უშნო სახე, მაგრამ ზნეობითს სილარიბეს კი უჯმურად აებეჭდა ის. რაღაც მზაკვარებით დიდხანს უჭვრეტდა ჩაფიქრებულ ქუჩნიას, შებრალებით გადააქნია თავი და სთქვა თავისთვის ჩუმათ:

— ვაი ჩვენს დავსებას! ეს მელა ის მელა ეელარ არის, ადრე რომ საქათმოებს აციებდა, დრო არის აწ ტურებსაც ერგოსთ მოედანი!

მერე მიეპარა სწორეთ იმ დროს, როდესაც იმან ჩვეულებრივს ბუტბუტში ახსენა ძალლები და უეცრად მიაძახა: „ამუო!“ ამ მოულოდნელმა შეყეფამ თავს შიშის ზარი დასცა, მხეცურის ხმით დაიღრიალა და მოტრიალდა მოსაგერებლად; მაგრამ ჰოი საკვირველებავ, მის წინ იდგა, სიმდაბლით თავ დახრილი და ქვეშევრდომულის ღიმილით თვალებში შემჩერე, მისი საყვარელი გაზდილი და სიკვდილამდე საიმედო მეგობრად საგულებელი Cუცნია!

III

იმ დროს, როდესაც ქუჩნიას ბედის ვარსკვლავი შესანიშნავად კაშკაშებდა, ეილაც მოხუცმა მამამ მოჰგვარა მას თორმეტის წლის ეაჟი და შეეევედრა: „ჩემო მწყალობელო, დიდო და დიდებულო ბატონო, მომხედე წყალობის თვალით, იახელიეს ჩემი ბაშვი, რომ თქვენთან ახლოს ყოფნით, ერთს დროს ოდესმე ესეც კაცი გახდესო!“ მერე მიუბრუნდა შვილსა და უთხრა: „შვილო, ღვეის იქით მამაც ეს იქნება შენი, პატრონიცა და ბატონიც!.. ბიბრძანოს—წყალში ჩავარდი დაგიბრძანოს—ცეცხლში! ერთის სიტყვით, ამის ბძანების მორჩილი და თვალებში შემჩერე იყავო!“

ქუჩნიას, პირველის შეხედვისა თანავე, მოეწონა მკვირცხლი და ლამაზი ყმაწვილი; იკისრა მისი გამოზდა და იმ დღიდამვე კიდევაც შეუდგა მისს წრთენას: დღე ჩიბუხს აკეთებინებდა და ღამ-ღამობით, თან ფეხებზედ ხელის სმით, ზღაპარს ათქმევინებდა ხოლმე. მერე სასამართლოში ქაღალდების გადაჩხაპვნის ნება მისცა. ააყოლა ასე ამ გვარად და ბოლოს, როდესაც მაჭანკლობაშიდაც გამართა, მაშინ კი მისცა ნება თავის თავადაც საქმეებში ცოტა რამების აწაპვნის ე. ი. უცოდველად გამორჩენისა.

ბონიერმა მოწაფემ მოძღვრის ხელობა ისე ნაყოფიერად მიიღო და შეისწავლა, რომ ოცდა ხუთის წლისამ კიდევაც გადააჭარბა მას: სახეს მრავალ-გვარად იცვლიდა, დროზედ მოხრუკვა შეეძლო და დროზედ გაჭმე-გაბერვა, ზურგი მოთელილი ჰქონდა, შუბლის კანი გამაგრებული, მუხლები ადვილად ეყრებოდა და გარყვნილების მორევში, რომელსაც ჩვენში დღესაც სიბრძნისა და გამოცდილების ზღვად უწოდებენ, მისსავით თამამად ვერვინ მოსცურავდა; მაგრამ, დახეთ უბედურებას, რომ ისე შეშჩნეული მაინც ვერ იყო ხალხისაგან, როგორც ოდესმე მისი მოძღვარი ქუჩნია, რომელსაც ამ უკანასკნელმა დროებმა ფრთები ჩამოაყრევინეს და ჭირიან-ინდაურიეით აბუზეს!..

ნატავი, რა იყო ამის მიზეზი?—დრო! ვინ შეარყია ამ ოდესმე შესანიშნავის კაცებისათვის ბედნიერი დრო? ვინ იყო მიზეზი მ.თის ასე დაჩაგერისა?—„ისინი!“

აკაკი

(გაგრძელება)

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი. კონსტიტუციურს კანონებზე მოლაპარაკება ვერსალის ნაციონალურს კრებაში 4 (16) დაუწყიათ. თფილისში მოსული დეპეშებით ვიცით, რომ ამ დროდგან დაწყებული ხუთი დღის განმავალობაში კრებაში დიდი მღელვარება და გაცხარებული ბაასი არ შეწყნარებულა. პირველი საგანი, რომელზედაც ერთხელ კიდევ ჩამოვარდნილა სჯა, ლაბულეს წინადადება ყოფილა—საფრანგეთის რესპუბლიკური მმართებლობის დაფუძნების თაობაზე. პარლამენტალურის წესით ერთხელ უკუგდებული წინადადება დეპუტატს მეორეჯერ მხოლოთ ექვსი თვის შემდეგ შეუძლია. ექვსი თვის წინათ ეს წინადადება კაზიმირ პერიემ შეიტანა. მაგრამ მაშინ, როგორც ახლაც ამ სხვა და სხვა პარტიებისაგან შემდგარმა კრებამ უარი სთქვა.

ამ პირველს სხდომაზედვე კრებას მიულია კანონად, რომ მინისტრები კრების წინაშე არიან პასუხის-მგებელნიო და ამას გარდა სენატის და ნაციონალური კრების სამყოფ ალაგათ ქ. ვერსალი დაუნიშნიათ—659 ხმაში 332 ხმის უმეტესობით.

ინგლისი. ქ. კარდიფის ფაბრიკის მუშებს პირობა შეუკრაით ერთმანეთში, სანამ ჯამაგირს არ მოგვიმატებენ, მანამ ნუ ვიმუშაებთო და მართლაც ეს რამდენიმე კვირაა აღარ მუშაობენ თურმე. ამ ფაბრიკების პატრონებს გამოუცხადებიათ მუშებისთვის, რომ თუ ამა და ამ დღეს არ მოხვალთ სამუშაოთ, ფაბრიკებს დაკეტთო. გაზეთებში იწერებიან, რომ თუ მართლა ესენი ვერ მოთანხმდნენ და ფაბრიკები დაიკეტა, 100,000 მუშაზე მეტი დარჩება უსაქმოთ და მაშა სადამე ულუკმა პურთო. ამის გამო მთელი ეს მაზრა ძალიან აღელვებულია თურმე, რადგან არეულობას მოელიან.

ესპანია. დონ-ალფონს ახლაღა უნდა, როგორც სჩანს, თავის გამოჩენა: არც კი მოისვენა თავის სატახტო ქალაქს—მადრიდში, მივიდა თუ არა, იმწამსვე ჩრდილოეთისაკენ გასწია დონ-ქარლოსის მომხრეების დასამშვიდებელად. ქაცმა არ იცის ჯერ, როგორ მმაცობას და გამჭრიახობას გამოიჩენს ეს 17 წლის მეფე.

მაგრამ, იქნება, ამ თვისებების გამოჩენა სრულიადაც არ დასჭირდეს: ზოგიერთს გაზეთებში იწერებიან, რომ იმას და დონ-ქარლოს ერთმანეთში მორიგებაზე მოლაპარაკება აქვთო, დონ-ქარლოსი თხოულობს იმისაგანო, რომ რაც ესპანიის მაზრები ახლა ჩემს ხელშია, ის დამითმე ამ მაზრების მეფედ მიცანი და ურთი-ერთშორის ომზე ხელს ავიღებთო. მაგრამ დონ-ალფონსი არ ეთანხმება თურმე ამაზე....

ქრონიკა

ერთობის დარღვევა

სტატია XII

—

მეფე დავით მე-VI რვა წელიწადი იმეფა. დავით ერო იყო ჰკუიანი და ძლიერი, მაგრამ გულითად ჰსურდა ქართველობის მონგოლებისაგან განთავისუფლება. რადგან სიყმაწვილიდგანვე ბევრი მწუხარება გამოსცადა, ამისათვის ძალიან ეჭვიანი იყო და პოლიტიკურად ვერ იქცეოდა.

ამისგამო დავითს ბოლომდინ მეფობა არ ეღირსა, და მეფედ დაჯდა იმისი ძმა ვახტანგი მე-III.

შეჭველია, რომ თუ ამ დროს დავითს კარგად, პოლიტიკურად ემოქმედნა, საქართველოს გაანთავისუფლებდა მონგოლებისაგან; მაგრამ საუბედუროდ ის არას დასდეედა საწელმწიფო საქმეებს და უფრო დაარღვია ქართველობაში ერთობა.

მონგოლების უფლების დამხობა ჰსურდა; მაგრამ ამისთვის ყველა ქართველების ერთად მოქმედება იყო საჭირო. ის ამას არ დაეძებდა და მხოლოდ თავის ძალით უნდოდა თავის გულის წადილის აღსრულება. მაგრამ შესცდა. თუმცა ოსებს ძლიერ უყვარდათ საქართველო და, თუ საჭიროება მოითხოვდა, შეელოდნენ ქართველებს, წარსულს დროში ქართველებთან მეგობრობა ჰქონდათ არამც თუ ოსებს, არამედ სხვა კავკაზიაში მცხოვრები ხალხებიც საქართველოს მეფეებს ისრე უყურებდნენ, როგორც თავის საკუთარს; მაგრამ, ამ დროს ყველაფერი დაირღვა; მართალია კავკაზიაში ყველა მცხოვრებს სხვა და სხვა ხალხებს თავ-თავისი მთავრები ჰყვანდათ, მაგრამ ყველა ესენი მუდამ ზნეობითა და ბევრჯელ ფაქტიკურათაც ქართველს მეფეებს ემორჩილებოდნენ.

ოსებს, ლეკებს და სხვა ხალხებს ქართველები თავის უფროს ძმად მიაჩნდათ და ქართულ წერა-კითხვას კავკაზიაში ყველა მცხოვრები ხალხები საკუთრებად რაცხდნენ. ამ ხალხებს თავისი ალფაფიტი არ ჰქონდათ და ვისაც წერა-კითხვის ცოდნა უნდოდა, ქართულს ენას და წერა-კითხვას სწაელობდა. ოსები ამ მახლობელს დრომდე ქართულად სწერდნენ; მაგრამ ახლა მთავრობამ იმათ ენაზე შეადგიანა ალფაფიტი და ამით ქართული წერის ხმარება იმათში გადავარდა. მაგრამ მრავალმა ოსმა ახლაც კარგათ იცის ქართული ენა და წერა-კითხვა, რადგან გრძნობენ თავიანთ ჩვენთან ძმობასა. ქართველების ბედი და უბედურება ყველას შეეხებოდა: თუ საქართველო ძლიერი და აღყვავებული იყო ეს ხალხებიც ნეტარებდნენ კეთილად ყოფა-ცხოვრებითა. ქართველები ამათთვისაც იმოდენად ზრუნავდნენ, რამოდენათაც თავიანთ საკუთარს ბედნიერებისათვის. ამისათვის ქართველები შეადგენდნენ ამათთვის იმისთანა ახალხსა, რომელსაც იმათში განათლება და ქრისტიანობა უნდა გაევრცელებინა. ქართველი ხალხი იყო მზე გული ქავკაზიის ხალხებისა, რომელსაც გარს უელიდნენ ეს ხალხები.

ეს ესმოდათ ამ ხალხებს და ამისთვის უყვარდათ ქართველობა, ჰქონდათ მათთან კავშირი და ერთობა, მოგებაც და ზარალიც საერთო იყო; მაგრამ ამ დროს ოსებსა და ქართველებს შუა დიდი განხეთქილება მოხდა, ვინც რიგიანი და ჭკუიანი ოსი იყო, საქართველოს ჯარებში იყვენ და მონგოლებს შეელოდნენ. ამისათვის ზოგიერთმა შინ მყოფმა მახინჯმა ოსების ბატონებმა, დაიეწყეს მეგობრობა და დაუწყეს შიდა-ქართლს აოხრება. იმათ დაიჭირეს ბორის ქალაქი და ბორში დახიზნდნენ. ეს ეწყინათ ქართლის ერისთავებს და ასტეხეს ურთიერთი ბრძოლა.

ბრიგოლი სურამელის შვილის-შვილი ამად ეომებოდა ამ დროს ოსებს, და ბევრი ზიანიც მისცა იმათ; ამისათვის სურამელებისა და ოსების შუა მუდამ განუწყეტელი ბრძოლა იყო. ოსები სცდილობდნენ ქართლში შემოსულ და ბრძანებულ ხალხად გახდომას. მაგრამ ქართველები ეწინააღმდეგებოდნენ.

ამ გვარის შინაურულის შლილობისა და განხეთქილებისა გამო ქართველებმა 1305 წელს ვერ მოახერხეს თავისი განთავისუფლება მონგოლებისაგან და ეს მამულის ვალი მიიღო თავის თავზე დიმიტრი მეფის მესამე შვილმა, ბიორგი ბრწყინვალემ. მაგრამ ვიდრე ჩვენ ბიორგი ბრწყინვალეზე დავიწყებდეთ ლაპარაკს, ესთქვათ კიდევ რამდენიმე სიტყვა ზოგიერთს ისტორიულ ფაქტებზე, რომ შევიტყოთ ნამდვილი საქართველოს მდგომარეობა და გაჭირება.

ინგილო ჯანაშვილი

საგაზეთო

შენიშვნა „ვეფხვის ტყაოსნის“ გამოცემაზედ

უფ. რედაქტორო, „დროების“ №10 თქვენ ერთი ხმა დაგებეჭდიათ, რომლის გამო ეხლა ძალა-უნებურათ მსურს ორიოდე სიტყვა ვსთქვა.

მომცემთ ნებას?

თუ თქვენი ნება იქნება, აი რას მოგახსენებთ.

ჩვენს ღარიბ ლიტერატურაში ისრეთი მოვლენა, როგორც სახალხო წიგნების გამოცემა, თქვენც თანახმა უნდა იყოთ, დიდი და დიდი შემთხვევაა. ეგრეთვე უნდა დამეთანხმოთ, რომ დიდი პატივის ცემის ღირსნი არიან თვით გამომცემელნიც.

არა?

მე ვგონებ, რომ კი. სამაგალითოდ რომ რუსეთის მწერლობა ავიღოთ, ისიც საკმაოთ დაგვიმტკიცებს, თუ ვინ არიან უფრო საფუძვლიანი წერა-კითხვის გამავრცელებელნი, ვისი წიგნები უფრო ხშირათ უჭირავთ უმრავლესობას ხელში, რა ფასიან წიგნებს უფრო ყიდულობს ხალხი? თქვენ, რასაკვირველია, პასუხათ მეტყვით, სახალხო წიგნები იაფ ფასიანი უფრო ადვილათ წვდება ამ მიზანს, ვიდრე სხვა წიგნებიო.

ჭეშმარიტებაა.

შეიძლება ამაზედაც დამეთანხმოთ, გინა ჩვენთვის მეტია ამის კითხვა, რომ სახალხო წიგნის შინაარსი, რაც უნდა უფერული იყოს, იმდენათ სახიანო არ არის, რამდენს სარგებლობასაც თვით გამოცემა მოუტანს ლარიბ ლიტერატურას და უწიგნობოთ დამშეულს ხალხს, როგორც ჩვენია. მაშ, მერწმუნეთ, მარტო ნერსესოვის, ქალანდაძის, სკანდაროვის და ხელაძის გამოცემები რომ შეევადაროთ დანაშთომს გამოცემებს, დანაშთომი გამოცემა არაფრათ ჩაეარდება.

ქალანდაძე, ნერსესოვი, სკანდაროვი, ხელაძე და სხვ. პირველნი არიან, რომელთა წიგნები ხალხს უჭირავს ხელში, კითხულობს და სხვა თუ არა ზოგიერთი წარსული ამბები, კეთილი მოსაზრებანი, სიმღერები და კიდევ არსენას იდეალი, მაინც გაერცელდა, ხელ-ახლავ განცხოველდა მათი სიყვარული ხალხში; არსენას მოგონებაზედ რამდენი ბრწყინვალე აზრები არ მოუვიდოდათ ბევრს, მრეკლეზედ ლექსები რამდენს სასიამო სურათებს არ მოაგონებდათ; რამდენი პატარ-რძალი სიხარულით დამღერდა თავის საქრმოს იმ მშვენიერ ლექსებს, რომელნიც ზოგ-ზოგან ახსოვდათ მარტო და სხვ. და სხვ.

ვინ არიან ამის მიზეზნი?

სკანდაროვი, ნერსესოვი, ქალანდაძე, ზარაფოვი, ხელაძე და სხვ.

ვისი წიგნები გაყიდულა თითო კერაში ათას ეგზემპლიარობით, ან ორჯერ გამოსულა ერთი და იგივე წიგნი წელიწადში, ვისი წიგნებით აიმსო ქალაქის ბაზრები, ახეთში ხალხი ვის წიგნებს კითხულობენო, როგორც „სასოფლო გაზეთი“ მოგვითხრობს?

ზემოთ მოხსენებული გამომცემლები არიან ყველაფრის მიზეზნი.

მაშ ეხლა შეუდგები თქვენს შენიშვნას.

თქვენ ამბობდით: „ჩვენ შევიტყეთ, რომ რამდენსამე პირს „ვეფხვის ტყაოსნის“ იაფი გამოცემა განუზრახავთ; ასრე რომ წიგნი აბაზზე მომეტებული არ ღირდეს და შეიძლება ნაკლებათაც.“

კარგი და კეთილი. მოხარული ვარ ამ შემთხვევით, ამითაც დიდი, დიდი სარგებლობა მოგველის.

მაგრამ თქვენ გჯერსთ ეს ხმა?

შეუძლებელია, თუ კი მიიღებთ სახეში ჩვენი შრიფტის ზომას, ქაღალდის სიძვირეს და სხვ....

შეიძლება მოხდეს, მაგრამ სინამდის ამ სიზმარს (?) გამოაცხადებდით, რატომ ორიოდე სიტყვა არ გავიგონეთ თქვენგან, რომ ამ ცოტა ხანში ჩვენს საზოგადოებას შეუძლიან, ექვს შაურათ ან ორ აბაზათ, არ ვიცი ქათგათ, იყიდოს „ვეფხვის ტყაოსნის“ ახალი გამოცემა, რომელიც ბევრათ სჯობიან ყველა გამოცემაებს, რაც კი ამოდენს ხანს ყოფილა და შეიძლება ბევრს ახალსაც ემჯობინოს? რატომ არ შეატყობინეთ საზოგადოებას თქვენი სიამოვნება, რომელშიაც არ შემიძლიან უარი გიყოთ, რომ ამ მშვენიერ გამოცემას ისევ ნერსესოვი და ქალანდაძე ბეჭდავენ, რომ ამ სიდიდე გამოცემისთვის ნერსესოვი და ქალანდაძე არ იშურებენ ოფლით მოპოებულს ფულს (ეს ყმაწვილები მესტამბეები არიან, რომელთაც თხუთმეტი მანეთი ეძლევათ თვეში).

შეიძლება, თქვენ ბოროტმა ვინმემ გაცნობათ ეს ცრუ ამბავი, რომ მით ნერსესოვის და ქალანდაძის „მეფხვის ტყაოსანი“ აღარ გაიყიდოსო.

მე არ შემიძლიან წარმოვიდგინო, რომ უბრალო ხმა თქვენ მოუფიქრებელათ, აუზომავათ გამოაცხადოთ. მე კი თავ-ბრუ მესხმის.

ბარემ პირი ვარ ყველა გამოცემაებთან. მაგრამ გულ-მოდგინეთ თვალ-ყურს ვადევნებ, როგორც ჩვენ ლიტერატურას, ყველა ჩვენს გამომცემლებს, ეგრეთვე ჩვენს სასტამბოებსაც ხეირიანად ვიცნობ და მიტომაც ძრიელ გაკვირვებული ვარ ამ ხმით.

ამასაც ვიტყვი, ვინ სულელი და მეტად ბრიყვი იქნება, რომ ეხლა გამოსცეს „მეფხვის ტყაოსანი“ თუნდ სამ კაპეიკათ იყოს, ეხლა სანამდის ნერსესოვს და ქალანდაძეს თავისი არ გაუყიდიათ, საძრახისი არ იქნება განა ამნაირი შეჯიბრება?

ამიხსენით, უფალო რედაქტორო, თუ რაში მდგომარეობს ნამდვილი საქმის გარემოება.

პ. წულუკიძე.

შენიშვნა შენიშვნაზედ

—

მკითხველი, უეჭველია, პირღია დარჩება, როდესაც ამ გრძელ ეპისტოლეს წაიკითხავს. არა გეგონია, რომ იმან კარგათ გაიგოს, თუ უფ. პ. წულუკიძე რას გაუცხარებია ასე მწარეთ, რას მოუყვანია ასეთს კეთილშობილურს მღელვარებაში, ვის ებრძვის, რას ჰკიცხავს?

მაგრამ, როგორც ყველაფერს, ამასაც, ალბათ, თავის მიზეზი უნდა ჰქონდეს.

საქმე აი რაში მდგომარეობს:

წელიწად ნახევარი იქნება, გვგონია, რაც ორმა ასოს-მწყობელმა უ. უ. ქალანდაძემ და ნერსესოვმა და მესტამბე ე. ხელაძემ იაფი სახალხო წიგნების გამოცემა დაიწყეს და რამდენიმე წიგნი კიდეც გამოსცეს.

რალა თქმა უნდა, რომ ამათ საქმეს ჩვენ არც უფ. პ. წულუკიძეზე და არც სხვა არავიზე ნაკლებ არ თანაუგრძნობთ. მაშ რათ მოგვითხრობს ასეთის გრძელის მჭევრმეტყველობით, რომ ამათი გამოცემანი სამაგალითო და ხალხისათვის სასარგებლო არიანო!

მაგრამ მიზეზი უფ. პ. წულუკიძის მღელვარებისა ის არის, რომ ჩვენ გაებედეთ გამოცხადება, რომ „რამდენთამე პირთა ისეთი „მეფხვის ტყაოსნის“ გამოცემა განუზრახავთ, რომელიც აბაზზე მომეტებული არ ეღირება.“

ძნელად წარმოსადგენი კია, მაგრამ ამ პატარა შენიშვნის დაბეჭდვას ისეთი საშინელი ზედმოქმედება ჰქონია უფ. პ. წულუკიძეზე, რომ თვითონვე აცხადებს: „მე თავ-ბრუ მესხმისო!“

დამშვიდდით, უფ. პ. წულუკიძე: ჩვენ იმისთვის არ დაგვიბეჭდავს ეს პატარა შენიშვნა, რომ ზემოხსენებული პირებისაგან გამოცემული „მეფხვის ტყაოსანის“ გაყიდვა ჩაეშალოთ. ჩვენგან ნახსენები გამოცემა შეიძლება ერთს წელიწადზე ადრეც არ გამოვიდეს. „მეფხვის ტყაოსანს“ ჩვენში უფრო შეძლებული საზოგადოება — თავად-აზნაურობა და განსაკუთრებით იმათი ცოლები ჰკითხულობენ და დარწმუნებული იყავით, ეს ბოროტი განზრახვა რომ გექონოდა, მაინც არ აგვისრულდებოდა, რადგან ეისაც ჰსურს ყიდვა, ორი შაურის მოსაგებათ ერთს წელიწადს არ მოუცდის, რომ ახალი გამოცემა იყიდოს.

შესაძლებელია, თუ არა, ერთ ამბავიანი „მეფხვის ტყაოსნის“ გამოცემა—ამაზე ბაასს არ დავიწყებთ: როცა გამოვა, მაშინ დარწმუნებით სიზმარში ენახე თუ ცხადათ.

ნუ თუ მარტო იმისთვის, რომ ერთს ეისმე გამოუცია წიგნი, მეორეს უფლება არა აქვს ამისთანაე წიგნი უფრო იაფად გამოსცეს? ნუთუ ძნელად გასაგებია თქვენთვის ის ჭეშმარიტება, რომ რაც უფრო ბევრი და იაფად გამოვა სახალხო იაფი წიგნები—ისა სჯობიან? განცალკევებულმა პირმა რომ რამდენიმე მანეთი წააგოს თავის გამოცემაში, განა ინაღვლით ამას, თუ კი ამით მთელ საზოგადოებას სარგებლობა მიეცემა?

ვიმეორებთ: ჩვენ თანაუგრძნობთ იმ ასოს-ამწყობლებს, რომელნიც თავის ოფლით ნაშოვარი ფულითა სცემენ სასახლო წიგნებს; მაგრამ ვერ გაგვიგია, რათ უნდა გვეწყინოს, სხვამ რომ, თუნდაც მოპარული ფულებით, ისეთივე საქმე იკისროს, როგორც ასოს-ამწყობლებმა? რად უნდა გვეწყინოს, თუ განსაკუთრებით ამათი გამოცემა ხალხისთვის უფრო იაფი იქნება?

მაგრამ კმარა. ეს ისეთი საგანია, რომელზედაც მომეტებული ლაპარაკი ჩვენ დროს დაკარგვად მიგვაჩნია...

ამის გამო ამ საგანზე ჩვენს გაზეთში ეს უკანასკნელი სიტყვაა.

ს. მ.

ნარევი

გაზეთებში აწერილია ბარიბალდის მოგზაურობა, როდესაც კაპრერიდამ რომში მოდიოდა. ჩივიტტა-ვეკკიის ნავსადგურზე რომ გამოსულა, ქალაქის ყველა წარმომადგენლები და სხვა და სხვა საზოგადოებათ წევრნი მიჰგებებიან და ერთ ხმით „გამარჯობა ბარიბალდისო!“ დაუძახნიათ და ამ ყვირილით და ერთი ამბით გაუცილებიათ იმ სასტუმრომდი, სადაც ბარიბალდი ჩამოხტა. რომშიაც დიდის ალტაცებით მიუღიათ, იქაც ქალაქის თავი კაცები და მუშები დახვედრიან რკინის გზის სტანციაზე და ყვირილით და მუზიკის კვრით ეაუცილებიათ. ბედნიერი კაცი!...

*
* *

შვეიცარიის ზოგიერთს კანტონებში წელიწადში ერთს დღეს დღესასწაულობენ, როდესაც კაცები ქალების ყურ მოჭრილ ყმებად ხდებიან. ამ დღეს რასაც კი არ ბრძანებენ ქალები, ყველაფერში კაცები უნდა დემორჩილონ და წინააღმდეგობას ვერაფერში ვერ გაუბედვენ. ერთის სიტყვით, მთელ დღეს სრული ბატონები არიან; მაგრამ ღამის თორმეტი საათი როგორც დაჰკრავს, იმათი მეფობა თავდება.

*
* *

სოფელს პოლხოვში ვიღაც გლეხებს სამიკიტნოს გაღება უნდოდათ თურმე; მაგრამ 55 ქალი ამდგარან და სოფლის მამასახლისისათვის უთხოვნიათ, რომ ამის ნებას ნუ მისცემთო, თორემ ჩვენი ქმრები ლოთობას დაიწყებენ და დავილუპებითო. მამასახლისს ყური არ უთხოვებია. მაშინ დედაკაცებს ერთი ქალი ამოურჩევიათ და უფროსთან გაუგზავნიათ. ამას გამოუცხადებია, რომ თუ ჩვენს [illegible] გაიხსნა, კაცები ლოთობას დაიწყებენ, რაც ფულები ექნებათ, სულ ჩალეენო და მერე სხვა არა იყოს რა, სახელმწიფო ხარჯის გადახდა გაგვიჭირდებაო. უეზდის უფროსს ჭკუაში დასჯდომია ამ დედა-კაცის ლაპარაკი და განკარგულება მოუხდენია, რომ ამ სოფელში სამიკიტნოები არ გაიხსნასო...

*
* *

ერთი პარიჟელი დალაქი (პარიკმახერი) აცხადებს გაზეთებში, ისეთი ოსტატობა მოვიგონეო, რომ რაც უნდა პოსლიკა თავი იყოს, თმას გაუჩენო. წმინდა ნევსითა და ძაფით ჩავაკერებ თავის ტყავში რა ფერისაც გნებავთ, იმ ფერის თმასო. აი თუ გეშველებათ პოსლიკ-თავებიანო!..

თფილისის სამკურნალო

(4 აპრილის სახსოვრად).

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9 საათიდამ ვიდრე 1 საათამდი

ორშაბათს: ექიმი მინკევიჩი—ხირურგიის, პარჟნიცკი — ყმაწვილების, ქალებისა და ვენერიული ავათმყოფებისათვის, ბარალევიჩი და ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფობისა.

სამშაბათს: პარჟნიცკი — ყმაწვ., ქალებისა და ვენერიული ავათმყოფობისათვის.

ხუთშაბათს: პარჟნიცკი ყმაწ., ქალებისა და ვინერიული ავათმყოფობისა. მარკაროვი და ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

პარასკევს: მინკევიჩი—ხირურგიისა, პარჟნიცკი—ყმაწვ., ქალებს და ვენერ. ავათმყოფ., ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

შაბათს: მარკაროვი და ლისიცევი შინაგანი ავათმყოფობისათვის.

განცხადება

„დროების კალენდარი“

ქართველებისა, სომხებისა და ფრანგებისათვის შედგენილი და გამოცემული „დროების“ რედაქციისაგან.

ისყიდება: თფილისში — ვართანოვის წიგნის მაღაზიაში და აგრეთვე სხვა ჩვენ ქალაქებში და უეზდებში.

ფასი ექვსი შაური.

—

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	8	18	8	17				
მცხეთა. .	9	18	10	—	-	68	-	38
გორი . .	11	39	1	43	2	40	1	23
სურამი . .	1	52	4	30	3	92	2	18
ბეჟათუბანი	3	45			4	42	2	46
ყვირილა .	6	49			5	81	3	23
ჭუთაისი. .	7	55			6	75	3	75
სამტრედია.	9	2			7	73	4	29
ახ.-სენაკი.	10				8	57	4	76
ფოთი. . .	11				9	75	5	42
ფოთი . .	7	38						
ახ.-სენაკი.	9	11			1	18	-	66
სამტრედია.	10	12			2	6	1	14
ჭუთაისი .	11	17			3	4	1	69
ყვირილა.	12	38			3	98	2	21
ბეჟათუბანი	3	27	ღამე		5	33	2	96
სურამი . .	4	57	12	30	5	84	3	24
გორი . .	7	23	3	31	7	36	4	9
მცხეთა . .	9	52			9	8	5	4
თფილისი .	10	49	8	2	9	75	5	42

ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ:

ოდესისკენ—ხუთშაბ. საღ. 6 საათ.

სტამბოლს—კვირაობით დილას.

ბ) სოხუმიდამ:

ფოთს—ოთხშაბათს, ღამით.

ოდესას—პარასკევს, გათენებისას

ფოთიდამ:	I		II		III	
სოხუმამდი .	4	„	3	„	1	„
ჭერჩამდი. .	20	50	15	50	5	„
ტაგანროგ.	34	„	27	„	8	60
ოდესამდი.	38	„	30	„	9	60

ტელეგრაფი

	მ.	კაპ.
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ჭუთაისს, ფოთს . .	1	—
ბორს, დუშეთს, სილნახს		50
როსტოვს ოდესას მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსპალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში.	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ:

სამზღვარ გარეთ, ჭუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ. და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. ქახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ჭუთაისიდამ:

თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს—ოთხშაბ.

გ) ბორიდამ.

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფოთიდამ:

ყოველგან—ყოველ დღე, კვირას გარდა.

წიგნის გაგზავნა რუსეთში:

	კაპ.
ერი წიგნის	5
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	10

ბირჟა

პეტერბურგი, 12 იანვარს.

ერთი მანეთი ღირს:

ლონდონში $33^1/_2$ პენსი. — 84

პარიჟში $349^1/_2$ სანტიმი. — 89

მსკონტი(სარგებლისფასი) 5 —

ბანკის ბილეთი 5% 97 75

მოგებიანი(პირველისესხი) 195 —

მოგებიანი (მეორე სესხი) 195 —

ბირაოს ფურცლები:

თფილ. სააზნ. ბანკისა.

ხერსონის ბანკის ($5^1/_2$) 84 50

მოსკოვის (5%). . . . 86 50

აქციები:

ოდესის სავაჭრო ბანკის. 235 —

ფოთი-თფილ.რკინ. გზის 133 —

შავიზღვის ცეცხ. გემების 560 —

კავკაზის და მერკურის. . 168 —

პირვ. საზღვევ. საზოგ. 665 —

პეტერბ. საზღვევ. საზ. 263 —

მოსკოვის საზღვევ. საზ. 257 65

მაზანდა

	მან.	კაპ.
თფილისი, 27 იანვარს.		
პური შორაგალის ფთ.	1	10
ქერი ფუთი. . . .	—	60
ბამბა ქრევნისა, ფუთი .	5	65
— ამერიკისა, ფუთი. .	6	55
ბაპენტილი ბამბა ფთ.	8	—
მატყლი თუშური ფთ .	6	40
— მარაქამისა ფთ. .	4	—
აბრეშუმი ნუხური ვრ.	2	60
ქონი, ფუთი. . .	4	—
ქონის სანთელი ფუთი.	5	60
სტეარინის სანთელი, ფ.	10	30
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	60
— ცხვრისა, ლიტრა. .	—	70
სპირტი, ვედრო. . .	7	—
შაქარი, კარგი ფუთი .	8	50
— ფხვნილი ფუთი . .	7	—
ყავა გრგვალი ფუთი .	19	50
ზეთი ქუნჟუთისა ფთ.	6	50
ოქრო $^1/_2$ იმპერიალი. .	5	87

Дозволено цензурою. Тифлисъ, 29 Января 1875 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი